საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 751 2019 წლის 4 აპრილი ქ. თბილისი

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან თანხის გამოყოფის შესახებ

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტისა და „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 6 ივნისის №249 დადგენილებით დამტკიცებული მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის განკარგვის წესის მე-2 მუხლის მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტების საფუძველზე, მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის სტიმულირებისა და მაღალმთიან დასახლებებში საჯარო ან კერძო პროექტების განხორციელებისათვის, „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან:

ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყოს სსიპ – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოსათვის არა

უმეტეს 10 808 985 (ათი მილიონ რვაას რვა ათას ცხრაას ოთხმოცდახუთი) ლარის გამოყოფა, საიდანაც 8 793 985 (რვა მილიონ შვიდას ოთხმოცდაცამეტი ათას ცხრაას ოთხმოცდახუთი) ლარი მიმართული იქნება „მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 მაისის №265 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის განხორციელებისათვის, 1 140 000 (ერთი მილიონ ას ორმოცი ათასი) ლარი მიმართული იქნება „მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 იანვრის №34 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მაღალმთიან დასახლებაში რეგისტრირებული ღვინის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების დასაფინანსებლად, ხოლო 875 000 (რვაას სამოცდათხუთმეტი ათასი) ლარი – „რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №150 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მაღალმთიან დასახლებაში რეგისტრირებული რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების დასაფინანსებლად;

ბ) საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის 150 000 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარის გამოყოფა, სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის გადასაცემად, ამავე უნივერსიტეტის ბაზაზე მთის ფაკულტეტის შექმნისა და შესაბამისი სასწავლო პროგრამის მოსამზადებლად;

გ) საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის 550 000 (ხუთას ორმოცდაათი ათასი) ლარის გამოყოფა სკოლა-პანსიონატების რეაბილიტაციისთვის;

დ) საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის 2 000 000 (ორი მილიონი) ლარის გამოყოფა, მუნიციპალიტეტებთან ერთად ელექტროენერგიის გარეშე არსებული დასახლებებისათვის მზის პანელების შესაძენად;

ე) არა უმეტეს 6 491 015 (ექვსი მილიონ ოთხას ოთხმოცდათერთმეტი ათას თხუთმეტი) ლარი მიიმართოს „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების“ შესაბამისად.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**